ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2828609

ნომერი: AR1433848

თარიღი : 21.08.2016

გაცემის თარიღი : 14.09.2016

გაცნობის თარიღი : 14.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა ღიბრაძე პ/ნ 01002016416
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 217 ბ. 26

ორგანიზაცია:

- შპს "ენენ" ჯგუფი კოდი: 205177556

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 მაისის №2619676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 21 აგვისტოს №AR1433848 განცხადებით მომართა კახა ღიბრაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 27 მაისის №2619676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 27 მაისის №2619676 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა №22-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.13.02.010.057) კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 27 მაისის №2619676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეცდომითაა დაფიქსირებული საერთო ფართობი და საზაფხულო ფართობი. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობი ნაცვლად 1243.1 კვ.მ-ისა დაფიქსირდეს 1174.4 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობი ნაცვლად 10020.5 კვ.მ-ისა დაფიქსირდეს 9951.8 კვ.მ.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა, წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 მაისის №2619676 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:9951.8, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:1174.4. სამსახურის 2016 წლის 27 მაისის №2619676 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 მაისის №2619676 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.